KONRAD ADENAUER STIFTUNG

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს საგარეო პოლიტიკის დილემა: როგორ ვიპოვოთ ბალანსი ტრანზაქციულ და ღირებულებებზე დაფუძნებულ მიდგომებს შორის

KONRAD ADENAUER STIFTUNG
GIP საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

პოლიტიკის დოკუმენტი

გამოცემა #35 | ოქტომბერი 2023

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 2011 წლის დასწყისში დაარსდა. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით. ორგანიზაციის მიზანია, გახდეს კვლევებისა და პოლიტიკური ინოვაციების წამყვანი ცენტრი საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში და საკუთარი წვლილი შეიტანოს რეგიონული თანამშრომლობის განვითარებისა და პოლიტიკური სტაბილურობის მისაღწევად. 2013 წლიდან საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი არის ეუთოს აკადემიური ინსტიტუტებისა და ანალიტიკური ორგანიზაციების ქსელის წევრი, ასევე, GIP არის ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კვლევითი ორგანიზაციების ქსელის წევრი, რომელიც ევროკომისიის მხარდაჭერით 2020 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა.

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადებულია კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისთან თანამშრომლობით. მოცემული პუბლიკაციის შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ავტორების პასუხისმგებლობას და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას იმგვარად გაგებული, რომ ასახავს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის და ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისის შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

***ნიკ მაკფარლეინი, სტივენ ჯონსი** „საქართველოს საგარეო პოლიტიკის დილემა: როგორ ვიპოვოთ ბალანსი ტრანზაქციულ და ღირებულებებზე დაფუძნებულ მიდგომებს შორის“, პოლიტიკის დოკუმენტი ნომ. 35, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ოქტომბერი 2023.*

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2022

საქართველო, თბილისი 0107, ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 13

ტელ: +995 599 99 02 12

ელ. ფოსტა: info@gip.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ:

www.gip.ge

გარეკანის ფოტოსურათის ავტორი © თამარ კორახაშვილი

ავტორთა შესახებ

დოქტ. ნილ მაკფარლეინი არის ოქსფორდის უნივერსიტეტის უფროსი მკვლევარი, სადაც ის 1996 წლიდან მუშაობს საერთაშორისო ურთიერთობების ლესტერ ბ. პირსონის პროფესორად. 2005-2010 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი. სამეფო ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების ასოცირებული წევრი (Chatham House). პროფესორი მაკფარლეინი არის რუსეთის საგარეო პოლიტიკისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რეგიონული დინამიკის სპეციალისტი, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის კუთხით. მას გამოქვეყნებული აქვს რიგი ნაშრომები შემდეგ საკითხებზე: საბჭოთა/განვითარებადი მსოფლიოს ურთიერთობები, პოსტ-საბჭოთა უსაფრთხოების საკითხები, საერთაშორისო ჩართულობა სამოქალაქო კონფლიქტებში, უსაფრთ-ხოების ცნების განვითარებადი მნიშვნელობა, საქართველოსა და კავკასიის უსაფრთხოების საკითხები, საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ცვლილებები. იგი იყო გაეროს განვითარების პროგრამის მრჩეველი (UNDP) საქართველოში, აზერბაიჯანსა და რუსეთში. პროფესორი მაკფარლეინი 2010 წლის აგვისტოში გახდა თსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი. 2011 წელს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება (honoris causa).

დოქტ. სტივენ ჯონსი არის ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრის ქართველოლოგიის პროგრამის დირექტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე საქართველოს ისტორიის პროგრამის პროფესორი და რუსეთისმცოდნეობის ემერიტუს პროფესორი მაუნტ ჰოლიოკის კოლეჯში, მასაჩუსეტსში, სადაც ის 1989 წლიდან ასწავლის. მან დოქტორის ხარისხი 1984 წელს, ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერების სკოლიდან მიიღო. პროფესორი ჯონსი ასწავლიდა საბჭოთა კვლევებს კალიფორნიის უნივერსიტეტში სანტა კრუზში, ლონდონისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში. მის წიგნებს განეკუთვნება: „სოციალიზმი ქართულ ფერებში: ევროპული გზა სოციალ-დემოკრატიისკენ (1883-1917)“ (ჰარვარდის უნივერსიტეტი, 2005); „ომი და რევოლუცია კავკასიაში: საქართველო ცეცხლის ალში” (ed., Routledge, 2010); “დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია, 1991-2010 წწ” (I.B. Tauris) და „თანამედროვე საქართველოს დაბადება: პირველი ქართული რესპუბლიკა და მისი მემკვიდრეები, 1918-2010 (ed., Routledge). ის იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ 2014 წელს გამოქვეყნებული კრებულის, „ქართლის ცხოვრების“ ინგლისური თარგმანის რედაქტორი და ნოე ჟორდანიას სიტყვით გამოსვლებისა და ჩანაწერების ქართულენოვანი სამტომეულის მთავარი რედაქტორი. 2011 წელს პროფესორი ჯონსი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად აირჩიეს. იმავე წელს მას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა, 2018 წელს კი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის.

სარჩევი

შესავალი. 4

- **ღირებულებები და ინტერესები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში - ს. ნილ მაკფარლეინი**. 6

  შესავალი. 6

  ღირებულებები და ტრანსაქციები საგარეო პოლიტიკაში. 6

  საქართველოს საგარეო პოლიტიკის გეოპოლიტიკა. 8

  დასკვნითი მოსაზრება. 12

- **ღირებულებები და ინტერესები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში - სტივენ ჯონსი**. 14

  შესავალი. 14

  ისტორიის რამდენიმე გაკვეთილი. 16

  უკრაინის ომის გავლენა. 17

  რბილი ძალა. 18

  მორალური მხარე?. 19

  პოპულისტური ალიანსი 19

  დასკვნითი მოსაზრება. 20

შესავალი

2022 წლის თებერვალი გადამწყვეტი თვე იყო გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურისთვის. უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანმა შეჭრამ ცივი ომის შემდგომი წესრიგის საფუძვლები შეარყია და უსაფრთხოების არსებული პარადიგმები შეცვალა. ომის დაწყებისთანავე დასავლეთის დემოკრატიულმა სამყარომ უკრაინას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. ნატო-მ უკრაინას გვერდში დგომა აღუთქვა „მანამ, სანამ დასჭირდება“ (Sabbagh 2022), ევროკავშირმა კი უპრეცედენტო გეოპოლიტიკური ნაბიჯი გადადგა და მოლდოვასა და უკრაინას კანდიდატის სტატუსი, ხოლო საქართველოს ევროპული პერსპექტივა მიანიჭა.

ბოლოდროინდელი მოვლენები გვაფიქრებინებს, რომ ომი ხანგრძლივი იქნება რადგან, არც რუსეთი და არც უკრაინა უკან დახევას არ აპირებენ. ასე თუ მოხდა, ეს დაპირისპირებას რუსეთსა და დასავლეთს შორის კიდევ უფრო გააღრმავებს და ამ ორ მხარეს შორის გამყოფ ხაზებს გაავლებს. ეს მოვლენები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე. რამდენიმე რეგიონულ ზესახელმწიფოს შორის მოქცეული ეს პატარა სახელმწიფო, რომლის საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიის 20% კვლავ რუსეთის ფედერაციას აქვს ოკუპირებული, ბოლო წლებში ტრანზაქციულ და პრაგმატულს“ საგარეო პოლიტიკას ატარებდა მის მეზობლებთან, მათ შორის რუსეთთან მიმართებით.

საქართველოს ტრანზაქციური საგარეო პოლიტიკა ამართლებდა მშვიდობიანობის დროს, მაგრამ, დასავლეთი მხრიდან რუსეთის მზარდი იზოლირების კვალდაკვალ, საქართველოს სულ უფრო მეტად უჭირს ბალანსის შენარჩუნება დიპლომატიურ ფრონტზე. საქართველოს ხელისუფლება უკრაინაში ომის მიმართ მისი ნეიტრალური პოზიციის, ანტიდასავლური რიტორიკისა და რუსეთთან ურთიერთობების გაღრმავების ფონზე კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდა. ეს ყველაფერი კი ხდება იმ ფონზე როდესაც დასავლეთი და, კონკრეტულად, ევროკავშირი ცდილობს აგრესიული რუსეთის საერთაშორისო იზოლირებას და სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში უფრო მეტ ყურადღებას აქცევს პოტენციური კანდიდატი ქვეყნის საგარეო პოლიტიკას და მის თავსებადობას ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან.

საქართველო კანდიდატის სტატუსს 2023 წლის ბოლოს ელოდება, მაგრამ თავად ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების პროცესი აუცილებლად მოითხოვს, რომ მან უარი თქვას მის ამჟამინდელ კონცეპტუალურ ბუნდოვანებაზე საგარეო პოლიტიკაში და უფრო მკაფიო პოზიცია დაიკავოს რუსეთსა და დასავლეთს შორის გეოპოლიტიკურ მეტოქეობაში. საქართველოს მიერ რუსეთთან დაახლოების და დაბალანსების მცდელობა კიდევ უფრო დამაბნეველი და გაუმართლებელი გახდა უკრაინის ომის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ.

საქართველოს მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ ხელისუფლება, რომელსაც რუსეთთან დათმობებზე წასვლასა და უკრაინისთვის არასაკმარისად დახმარებაში ადანაშაულებენ, არ შეუერთდა საერთაშორისო სანქციებს იმის შიშით, რომ ეს საქართველოს ეკონომიკას უარყოფით შედეგებს მოუტანდა. ამასთანავე საქართველოს მთავრობამ რუსეთთან უვიზო მიმოსვლა შეინარჩუნა და ამ ორ ქვეყანას შორის პირდაპირი ფრენების აღდგენას დასთანხმდა (Reuters 2023), რის შედეგადაც ქვეყანაში ათასობით რუსეთის მოქალაქე და რუსული ბიზნესი შემოვიდა.

შესაბამისად, ეკონომიკური კავშირები ამ ორ ქვეყანას შორის კიდევ უფრო გაღრმავდა. მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების სურვილისა, საკუთარი საგარეო პოლიტიკა პრაგმატულ ქმედებად წარმოაჩინოს, და იმ მოკლევადიანი სარგებლისა, რასაც საქართველო შესაძლოა რუსეთთან მზარდი ეკონომიკური ურთიერთობებიდან იღებს, საზოგადოებრივი აზრის კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა პროევროპულ საგარეო პოლიტიკას ემხრობა და რუსეთის სახელმწიფოს და მასზე ეკონომიკურ დამოკიდებულებას საფრთხედ აღიქვამს (IRI 2022, Edison Research 2023).

ერთი მხრივ, ოფიციალური თბილისი თითქოს ცდილობს ერთგულება და სტრატეგიული პარტნიორობა შეინარჩუნოს დასავლეთთან, რადგან თავს ევროპული ოჯახის წევრად მიიჩნევს. თუმცა, ერთ დროს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ლიდერმა ქვეყანამ განსხვავებული მიდგომა აირჩია ევროკავშირის მიმართ. ბოლო წლებში ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან მისი თავსებადობის მაჩვენებელი კლებულობს (Akobia 2023), რაც საფრთხეს უქმნის ევროკავშირთან საქართველოს შემდგომ დაახლოებას. დასავლელი პარტნიორები მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, გაზარდოს თავსებადობა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან და გაატაროს ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკა (Stano 2023). თუმცა ქვეყანას, რომელიც მის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად რუსეთის ზეწოლის მიმართ მოწყვლადი და მის ბაზარზე დამოკიდებული რჩება, ეს შესაძლოა ძვირი დაუჯდეს ეკონომიკური და უსაფრთხოების თვალსაზრისით.

ამ სირთულეების მიუხედავად, საქართველოს არა აქვს იმის ფუფუნება, რომ მხოლოდ ეკონომიკურ მხარეზე კონცენტრირდეს და უგულებელყოს ის პოლიტიკური რისკები, რომლებიც რუსეთთან ეკონომიკურ დაახლოებას ახლავს. შესაბამისად, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს დისკუსია იმის თაობაზე, უარყო თუ არა „ქართული ოცნების“ მთავრობამ თავის საგარეო პოლიტიკაში ტრადიციული, ღირებულებებზე დაფუძნებული პროდასავლური კურსი, რუსეთთან ურთიერთობაში უფრო ეგრეთ წოდებული პრაგმატული პრინციპების გამოყენების სანაცვლოდ, რაც, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, აგრესორის დაშოშმინების ერთგვარი პოლიტიკაა, რომლისთვისაც „ფეხაკრებით მიტმასნება“ არის დამახასიათებელი (Lebanidze & Kakachia 2023).

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტმა სთხოვა საქართველოს საკითხზე მომუშავე ორ ცნობილ მეცნიერს, მოსაზრებები გამოეთქვა საქართველოს საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით მიმდინარე ამ დებატში შემდეგ საკითხებზე:

- **შეუძლია თუ არა მცირე ზომის სახელმწიფოს, აწარმოოს ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკა, როდესაც მას არ იცავს ნატო-ს უსაფრთხოების ქოლგა და ის არ არის ევროკავშირის წევრი?**
- **გამართლებულია თუ არა ტრანზაქციური საგარეო პოლიტიკა საქართველოსთვის და რა რისკები ახლავს ან რა სარგებელი მოაქვს ასეთ მიდგომას?**

ღირებულებები და ინტერესები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში

ს. ნიდ მაკფარლეინი
ოქსფორდის უნივერსიტეტი

შესავალი

ეს ნაშრომი ორ ამოცანას ისახავს. პირველი, ღირებულებებზე დაფუძნებულ და ტრანსაქციურ საგარეო პოლიტიკას შორის განსხვავების გამოკვლევაა, რაც ემპირიულად და თეორიულად არ დასტურდება. პროფესორი ჯონსი ამას ეთანხმება. მეორე ამოცანა საქართველოს საგარეო პოლიტიკის, კერძოდ, დასავლეთსა და რუსეთთან მისი ურთიერთობების განხილვაა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყველა საგარეო პოლიტიკას აქვს როგორც ღირებულებითი, ისე ტრანსაქციური შინაარსი. მეორე ამოცანის ფარგლებში საქართველოს საგარეო პოლიტიკის შედეგებს ვიკვლევ. ნაშრომი იწყება იმის გარკვევით, შეიძლება თუ არა „ღირებულებებზე დაფუძნებულ საგარეო პოლიტიკასა“ და „ტრანსაქციურ საგარეო პოლიტიკას“ შორის განსხვავების ოპერაციონალიზაცია, არის თუ არა ისინი ურთიერთგამომრიცხავი და მოიცავს თუ არა საგარეო პოლიტიკა ორივეს ელემენტებს. შეიძლება თუ არა ამ ორი კატეგორიის ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯვნა, როდესაც „ტრანსაქციურ“ საგარეო პოლიტიკას, ნაწილობრივ მაინც, ძირითადი ეროვნული ღირებულებები განსაზღვრავს და როდესაც თითქოსდა „ღირებულებებზე დაფუძნებული“ საგარეო პოლიტიკა პრაქტიკული მოსაზრებებით მიიღება? ნაშრომის დასასრულს განხილულია საქართველოს საგარეო პოლიტიკა დასავლეთისა და რუსეთის მიმართ. კერძოდ, გამოთქმულია მოსაზრება, რომ უკრაინაში რუსეთის მზარდი აგრესიისა გათვალისწინებითა და სამოკავშირეო დამცავი მექანიზმების არარსებობის პირობებში, საქართველომ ბალანსი უნდა შეინარჩუნოს დასავლეთსა და რუსეთს შორის. როგორც პროფესორი ჯონსი ფიქრობს, ასეთი არჩევანი წარმატების გარანტიას არ იძლევა. თუმცა, სანდო ალტერნატივა არ არსებობს და ამ საკითხს ჩვენ დასკვნაში ვუბრუნდებით.

ღირებულებები და ტრანსაქციები საგარეო პოლიტიკაში

რას ვგულისხმობთ „ღირებულებებზე დაფუძნებულ“ საგარეო პოლიტიკაში? ზოგადად ღირებულებებს, თითოეული ქვეყნისთვის სპეციფიკურ ღირებულებებს, თუ დასავლურ ღირებულებებს - დემოკრატიას, ადამიანის უფლებებს, დამოუკიდებელ მართლმსაჯულებას, მედიის დამოუკიდებლობას და ა.შ.? ღირებულება არის ის რაც ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს ღირებულად (ან „ფასეულად“ ან „პატივსაცემად“ ანდა „სწორად“) მიაჩნია. არ არსებობს ღირებულებების საყოველთაოდ მიღებული ანდა „ობიექტური“ ნაკრები. აქედან გამომდინარე, ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკა ასახავს იმას, რაც ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ფასეული და „სწორია“. რაც შეეხება „ტრანსაქციურს“, ტრანსაქცია, მისი ძირითადი მნიშვნელობით, ორ ან მეტ მხარეს შორის გაცვლას ნიშნავს. ეს გაცვლები შეიძლება თანამშრომლური ან კონფლიქტური ხასიათის იყოს. უნდა აღინიშნოს, რომ აქ არ ვსაუბრობთ იმაზე, თუ რატომ უნდა სახელმწიფოს ის, რაც უნდა. მაგალითად, სახელმწიფომ შეიძლება გადაწყვიტოს რაღაცის გაკეთება, რადგან ფიქრობს, რომ ამის გაკეთება „ღირს“, ანდა იმიტომ, რომ რაღაც სარგებლის მიღებას მოელის. ასევე, სახელმწიფომ შეიძლება ერთდროულად ღირებულებების და ინტერესების მიხედვით იმოქმედოს. ჩვეულებრივ, ქვეყნები თავიანთ საგარეო პოლიტიკაში ტრანსაქციურ და ღირებულებით ელემენტებს აერთიანებენ.

ამის მაგალითია პოლონეთის ბოლოდროინდელი საგარეო პოლიტიკა. პოლონეთი მყარად უჭერს მხარს უკრაინის ბრძოლას დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის. ეს შესაძლოა ღირებულებებს ეფუძნებოდეს (სოლიდარობა, საერთაშორისო სამართლის პატივისცემა), ან იყოს ტრანსაქციური (სჯობს რუსეთი საზღვრებისგან მოშორებით იყოს - უკრაინის დახმარება, დაიცვას თავი რუსეთის შემოჭრის წინააღმდეგ ამ მიზანს ემსახურება). შემდეგ, როდესაც ამ ომის გამო, პოლონეთი უკრაინის ხორბლის ექსპორტმა გადაავსო, რამაც პოლონელი ფერმერების დააზარალა, პოლონეთმა უკრაინული ხორბლის იმპორტირება შეწყვიტა (Brzezinski 2023). ანალოგიურად მოიქცა სლოვაკეთი, უნგრეთი, რუმინეთი და ბულგარეთი.

უკრაინულ ხორბალზე ემბარგო შესაძლოა იყოს ტრანსაქციური (პოლონეთის ხელისუფლება შესაძლოა ღელავდეს, რომ თუ უკრაინული ხორბლის ექსპორტი მის ფერმერებს დააზარალებს, ფერმერები მას ხმას არ მისცემენ მომდევნო არჩევნებზე) ანდა იყოს ღირებულებებზე დაფუძნებული (სწორია საკუთარი ხალხის მხარდაჭერა, როდესაც მათ უჭირთ, რადგან სახელმწიფოს მთავარი ვალდებულება საკუთარი ხალხის დაცვაა).

იგივე შეიძლება ითქვას აშშ-ის ურთიერთობებზე საუდის არაბეთთან. აშშ, თითქოსდა, ღირებულებითი დღის წესრიგის - დემოკრატიის, კანონის უზენაესობის და უმცირესობების მიმართ თანასწორი მოპყრობის ერთგული მხარდამჭერია. ის ხშირად აკრიტიკებს საუდის არაბეთს ამ მიმართულებებში. ამავე დროს, ის უამრავ სამხედრო აღჭურვილობას აწვდის და რჩევას აძლევს საუდის არაბეთს, რათა დაეხმაროს ამ ქვეყანას ირანის წინააღმდეგ რეგიონული ბალანსის შენარჩუნებაში. ეს მიდგომა შეიძლება განიხილებოდეს როგორც ტრანსაქციური; თუმცა, ღირებულებითი თვალსაზრისით, ის შეიძლება ასახავდეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, თავიდან აიცილოს ირანული საფრთხე, როგორც ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკის ელემენტს, რომლის მიზანიც ამერიკისა და ამერიკელი ხალხის დაცვაა. ამრიგად, ამერიკის პოლიტიკა საუდის არაბეთის მიმართ შეიძლება განიმარტოს როგორც ღირებულებებზე დაფუძნებული ან ტრანსაქციური. რეალურად, ამერიკის ღირებულებებზე დაფუძნებული მთელი პოლიტიკა შეიძლება გარკვეულწილად ტრანსაქციურად ჩაითვალოს. რთულია უარყო, რომ ბოლო 30 წლის გლობალურ პოლიტიკაში დემოკრატიული /ლიბერალური ღირებულებების დღის წესრიგი შეერთებული შტატებისა და ზოგადად, დასავლეთის ჰეგემონიისკენ სწრაფვის იდეოლოგიურ ასპექტს წარმოადგენს (Nye 2004), ანუ ტრანსაქციური პოლიტიკის ერთ-ერთ ინსტრუმენტს. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ეს არის პრეზიდენტ ვუდრო უილსონის არგუმენტის, რომ ამერიკამ მსოფლიო უნდა აქციოს „უსაფრთხო ადგილად დემოკრატიისთვის“, გამოხატულება.

რა ხდება „მცირე სახელმწიფოების“ შემთხვევაში, რომლებსაც დიდი მეზობლები ჰყავთ? ამის კარგი მაგალითია ფინეთი. 1945 წლიდან 2022 წლამდე ფინეთი ერთდროულად ატარებდა დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, და ეკონომიკური თავისუფლების ღირებულებებზე დაფუძნებულ პოლიტიკას და შემდეგ, ევროკავშირშიც გაწევრიანდა, და ტრანსაქციურ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ, რომლის ფარგლებშიც ფინეთი უსაფრთხოების პოლიტიკაში მოქნილობას (ნებისმიერი ქვეყნის უფლებას, აირჩიოს უსაფრთხოების საკუთარი ზომები) ინარჩუნებდა მეზობელი ქვეყნიდან მოსალოდნელი საფრთხისგან თავდასაცავად. ის ფინეთის მიწაზე საბჭოთა ჯარების განლაგებასაც დასთანხმდა. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ის სსრკ-ის მიმართ დაშოშმინების პოლიტიკას ატარებდა ფინეთის გადასარჩენად (გადარჩენა ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა). საქართველოს რომ მივუბრუნდეთ, ის აღიარებს დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ნორმებს. თუმცა, აზერბაიჯანთან ურთიერთობაში ის მათ უგულებელყოფს. აზერბაიჯანი საქართველოს აუცილებელი ენერგორესურსებით ამარაგებს. საქართველო მნიშვნელოვან სარგებელს იღებს აზერბაიჯანთან სატრანზიტო ვაჭრობიდან. აზერბაიჯანი, მისი სამხედრო სიძლიერის გათვალისწინებით, პოტენციურ ფარულ საფრთხეს უქმნის საქართველოს უსაფრთხოებას. ამ შემთხვევაში ლიბერალურ ნორმებზე თვალის დახუჭვის გადაწყვეტილება დიდწილად ტრანსაქციური ხასიათისაა. მეორე მხრივ, ასეთი პოლიტიკა, რომელიც იმ დროს შემუშავდა, როდესაც საქართველო მისი მოსახლეობის გადარჩენისთვის იბრძოდა, რომ ხალხს სახლებში სითბო ჰქონოდა, ღირებულებით კომპონენტს შეიცავს. ეს მაგალითები რამდენიმე ზოგადი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს ღირებულებებზე დაფუძნებულ და ტრანსაქციურ საგარეო პოლიტიკას შორის განსხვავების თაობაზე. პირველი, ღირებულებებზე დაფუძნებული ან ტრანსაქციური საგარეო პოლიტიკა არ წარმოადგენს ბინარულ არჩევანს; ყველას თუ არა, ქვეყნების უმეტესობას (დიდსაც და პატარასაც) საკუთარ საგარეო პოლიტიკაში ღირებულებითი და ტრანსაქციური ელემენტები აქვს.

მეორე, პოლიტიკის ფორმულირებაში რთულია, ღირებულებები გამიჯნო ტრანსაქციურობისგან. მესამე, ღირებულებებზე დაფუძნებულ ან ტრანსაქციურ პოლიტიკას შორს დიქოტომია გულისხმობს ერთ (დასავლურ) ღირებულებით საფუძველს პოლიტიკისთვის. თუმცა სხვა ქვეყნებსაც აქვთ თავიანთი კონკრეტული ღირებულებები, მაგალითად, გადარჩენა და საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობის ხელშეწყობა, ანდა, რუსეთის, ჩინეთისა და ირანის შემთხვევაში, ერის მისია. ამრიგად, რომელ ღირებულებებზე ვსაუბრობთ?

მთავარი პრობლემა აქ ის არის, რომ ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკის შედარება ტრანსაქციურთან იგივეა, ვაშლები რომ შევადარო ფორთოხლებს. ნებისმიერი საგარეო პოლიტიკა ტრანსაქციურია. ის გულისხმობს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებს, ხოლო თითოეულ მათგანს საკუთარი დღის წესრიგი აქვს, რომელშიც გაერთიანებულია ღირებულებები, მატერიალური ინტერესები, ხელმძღვანელობის და საზოგადოების აღქმები საგარეო ვითარების შესახებ. ამ დღის წესრიგებით იქმნება ტრანსაქციურობა, რომელიც გულისხმობს თანხმობის მიღწევას საერთო ინტერესებზე, სახელმწიფო პრიორიტეტების ურთიერთდათმობას, ანდა კონფლიქტში შესვლას, როდესაც განსხვავებების დაძლევა მოლაპარაკებებით ვერ ხერხდება. დღის წესრიგი განისაზღვრება სამ დონეზე: საგარეო (სტრუქტურული) ფაქტორები, რომლებსაც უპირატესობას ნეორეალისტები ანიჭებენ, როგორებიც კენეთ უოლცი (1979) და ჯონ მირშაიმერი (2001) არიან; ადგილობრივი პოლიტიკა, საზოგადოებრივი აზრი და კულტურა (მათ შორის კულტურული ღირებულებები); და ელიტის და ხელმძღვანელობის აღქმები და ღირებულებები.[1] ამ სამ განზომილება ზუსტად ასახავს საგარეო პოლიტიკის ანალიზის თეორიული სისტემა: ნეორეალიზმი, ლიბერალიზმი და კონსტრუქტივიზმი.

ის, რაც ამ აღწერაშია ნაგულისხმევი, არის ღირებულებების მნიშვნელობა როგორც ხელმძღვანელობის აღქმაში, ასევე საშინაო პოლიტიკაში. ამ ფაქტორების მნიშვნელობა იცვლება დროთა განმავლობაში ვითარების ცვლილებასთან ერთად. როდესაც სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოსგან სერიოზული საფრთხე ემუქრება, იქ წამყვანი სტრუქტურული დონეა საგარეო საფრთხეების შესახებ ხელმძღვანელების აღქმებთან ერთად. მინიმალური საფრთხის შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანი საშინაო პოლიტიკურ-კულტურული ფაქტორები ხდება. მიზეზშედეგობრივი ფაქტორების ბალანსიც რეჟიმის ტიპის მიხედვით განსხვავდება: ავტორიტარული ან ავტოკრატიული სისტემები ამცირებს საშინაო პოლიტიკური დონის მნიშვნელობას და ზრდის ელიტის/ხელმძღვანელობის ფაქტორის მნიშვნელობას, როგორც ეს რუსეთშია. რუსეთის მოსახლეობის უმეტესობას საერთოდ არ აინტერესებდა უკრაინა. თუმცა, ის რუსეთის ხელმძღვანელს აინტერესებდა. და მოხდა ის, რაც მოხდა.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის გეოპოლიტიკა

ღირებულებებსა და ტრანსაქციურობაზე დისკუსიაში იგნორირებულია ერთი კონცეფცია, რომელიც ფუნდამენტურია საერთაშორისო ურთიერთობებისა და საგარეო პოლიტიკისთვის - ძალა. თუკიდიდეს „პელოპონესის ომში“ მელოსელებმა, რომლებსაც ათენელების მხრიდან გარდაუვალი დამარცხება ელოდათ, სამართლიანობა მოითხოვეს. ამაზე ათენელებმა უპასუხეს, რომ „სამართლიანობის სტანდარტი ძალთა თანაფარდობაზეა დამოკიდებული და ... რეალურად, ძლიერები აკეთებენ იმას, რისი ძალაც შესწევთ, ხოლო სუსტები იძულებით იღებენ იმას, რისი თავიდან აცილებაც არ ძალუძთ“ (თუკიდიდე, პელოპონესის ომი, 402).[2] ათენმა მელოსელებს არჩევანი შესთავაზა - ან დანებება და ათენის იმპერიაში გაერთიანებაზე დათანხმება, ანდა სრული განადგურება. რა თქმა უნდა, მცირე ზომის სახელმწიფომ შეიძლება სცადოს ალიანსების შექმნა უფრო დიდ სახელმწიფოებთან საფრთხის დაბალანსების მიზნით.[3] ასეთი მცდელობის წარმატება დამოკიდებულია დამბალანსებელი აქტორების სურვილზე, უზრუნველყონ უსაფრთხოების გარანტიები. ასეთი რამ მცირე სახელმწიფო მელოსს არ ჰქონდა. მელოსელებმა უარი თქვეს ათენის იმპერიაში შესვლაზე. მელოსი განადგურდა; თუკიდიდეს მონათხრობის მიხედვით, კაცები მოკლეს, ხოლო ქალები და ბავშვები მონებად გაყიდეს. არჩევანს, რომელსაც დიდი და პატარა სახელმწიფოები საგარეო პოლიტიკის მთავარ საკითხებთან დაკავშირებით აკეთებენ, დიდ გავლენას ახდენს, ანდა უნდა ახდენდეს, მათი მდგომარეობა იმ მომენტში და, პირველ რიგში, მათი პოზიციონირება ძალთა რეგიონულ და გლობალურ განაწილებაში.

---

1. საგარეო პოლიტიკის ფორმულირების განმსაზღვრელი ფაქტორების ეს დაყოფა მსგავსია იმ დაყოფისა, რომელიც ნორინ რიპსმანმა, ჯეფრი ტაღიფერომ და სტივენ ლობელმა შემოგვთავაზეს წიგნში „საერთაშორისო პოლიტიკის ნეოკლასიკური რეალიზმის თეორია“ (ოქსფორდი, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016). ეს ნაშრომი არ არის წმინდად რეალისტური, მაგრამ მოიცავს სტრუქტურული რეალიზმის, ლიბერალიზმის და კონსტრუქტივიზმის თეორიებს.

2. არსებობს ექვები ავტორის მონათხრობში ისტორიული სიზუსტის შესახებ. პრინციპში, ეს არ არის მნიშვნელოვანი, რადგან ავტორი აქ კარგად გვაჩვენებს პატარა, იზოლირებული ქვეყნების ლიდერებს.

3. ალიანსების თეორიის სრული აღწერა სტივენ უოლტის წიგნში „ალიანსების წარმოშობა“, 1987.

ამას საქართველოსთან, როგორც პატარა ქვეყანასთან, მივყავართ. საქართველო რთულ და პრობლემურ გეოპოლიტიკურ კონტექსტში არსებობს. ჯერ ერთი, მისი დომინანტი მეზობელი რუსეთი მუდმივად ერეოდა საქართველოს საშინაო პოლიტიკაში მას შემდეგ, რაც ქვეყანამ სუვერენიტეტი აღიდგინა 1991 წელს. 2008 წელს მან ძალის აგრესიულ გამოყენებაზე საერთაშორისო აკრძალვა დაარღვია და საქართველოში შემოიჭრა. რუსეთის აგრესიამ და ასიათასობით დევნილმა, რომელიც ამ ძალადობამ წარმოშვა, ძალიან მძიმე ჰუმანიტარული შედეგები მოუტანა საქართველოს მოსახლეობას. რუსეთის პოლიტიკა რუსეთის და საბჭოთა იმპერიისადმი ისტორიულ ნოსტალგიას ასახავდა. ის ასევე გამოხატავდა რუსეთის მტრულ დამოკიდებულებას დასავლური ინსტიტუტების მიმართ, რომლებიც „მისი ინტერესების სფეროში“ - ახლო საზღვარგარეთში შემოვიდნენ. ანუ, რუსეთი ვეტოს უფლებაზე აცხადებდა პრეტენზიას საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც მის ინტერესს წარმოადგენდა.[4]

უფრო მოშორებით დასავლეთი და მისი ინსტიტუტები დგანან. ნატომ-მ და ევროკავშირმა გაფართოების პოლიტიკა მიიღეს როგორც გრძელვადიანი პოლიტიკა იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც სსრკ-ის დასავლეთ ნაწილს წარმოადგენდა. პასუხად, საქართველომ დასავლური დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების დღის წესრიგის გატარება 2003 წლიდან დაიწყო. ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირება საქართველოს კონსტიტუციით განსაზ-ღვრული საგარეო პოლიტიკური ვალდებულებაა. ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანებას მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უჭერს მხარს (დიაგრამა1).

დიაგრამა 1: მისაღებია თუ არა თქვენთვის საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი?



NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2023 წლის მარტი

წყარო: ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI): საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2023 წლის მარტი. ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/nm2023ge/JOINEU/

4.ეს ნათლად ჩანდა ვლადიმირ პუტინის გამოსვლაში მიუნჰენის უსაფრთხოების კონფერენციაზე 2007 წელს (TRANSCRIPT: 2007 Putin Speech and the Following Discussion at the Munich Conference on Security Policy – Johnson's Russia List)

მეორე მხრივ, ქართული ოცნების ახლანდელი ხელისუფლების მხრიდან გარკვეული ამბივალენტურობა შეიმჩნევა ევროკავშირის ღირებულებების მიმართ, რომლებიც უკავშირდება სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას (მოსამართლეთა დანიშვნა უზენაეს სასამართლოში), პოლიტიკურ პოლარიზაციას პარლამენტსა და საზოგადოებაში, პატიმრობაში მყოფი ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართ მოპყრობას, დეოლიგარქიზაციას (შეფარული მითითება ბიძინა ივანიშვილის გავლენაზე ქართულ პოლიტიკაში), ადამიანის უფლებებს (განსაკუთრებით ლგბტქ+ თემის უფლებები), მედიის თავისუფლებას (დავები ოპოზიციური მედიის წინააღმდეგ), და სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობას („უცხოური გავლენის აგენტების კანონი“)[5]. ამ შიდაპოლიტიკურმა მოვლენებმა დასავლეთის ინსტიტუტებისა და ქვეყნების შეშფოთება გამოიწვია, რადგან ისინი ეწინააღმდეგება გაფართოების მოთხოვნებს ქვეყანაში რეფორმების გატარებაზე.

თუმცა, ოფიციალურად, საქართველოს სურვილი, მიიღოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი კვლავ ძალაშია. ევროკავშირი, პრინციპში, ამ პროცესის ერთგული რჩება. თუ ამ წლის ბოლომდე საქართველო დამაკმაყოფილებლად შეასრულებს ევროკავშირის 12 რეკომენდაციას, რომლებიც მას ევროკავშირმა წევრობის სტატუსის მისანიჭებლად წარუდგინა, ქვეყნის პერსპექტივა, მიიღოს კანდიდატის სტატუსი, საკმაოდ დამაიმედებელია. თუ ხელისუფლება არ შეასრულებს ამ რეკომენდაციებს, მაშინ პერსპექტივა ცუდია. რაც არ უნდა მოხდესკანდიდატობის ეტაპზე, გზა კანდიდატობიდან წევრობამდე გრძელია და სავარაუდოდ, საქართველოს შემთხვევაში, სულ ცოტა 10 წელი გაგრძელდება.[6] კანდიდატის სტატუსს კი არანაირი უსაფრთ-ხოების გარანტია არ მოაქვს.

ნატო-ს შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველომ ნატო-ში გაწევრიანების სურვილი 2003 წელს გამოხატა; მას შემდეგ ეს სურვილი ძალაშია. 2008 წელს ალიანსმა ბუქარესტის სამიტზე განაცხადა, რომ საქართველო და უკრაინა ალიანსის წევრები გახდებოდნენ, მაგრამ ამის არც მკაფიო გზა და არც ვადები არ განუსაზღვრავს. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი, რომელშიც რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის 20% მოსწყვიტა და შემდეგ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი სუვერენულ სახელმწიფოებად აღიარა, დიდი ალბათობით, ამის პირდაპირი შედეგი იყო. მას შემდეგ ნატო-მ და საქართველომ სხვადასხვა საგანგებო თუ ინტენსიური თანამშრომლობის მექანიზმი შექმნეს. მიუხედავად იმისა, რომ ნატო-ში გაწევრიანების პროცესი უფრო მარტივია, ვიდრე ევროკავშირში გაწევრიანების, ნატო-ს სრულუფლებიანი წევრობა და მისი უსაფრთხოების ქოლგის გარანტია ამ ეტაპზე ასევე შორი პერსპექტივა ჩანს.

ამას ისევ ღირებულებით-ტრანსაქციურობის საკითხთან მივყავართ. დასავლეთი სულ უფრო ღრმად ეფლობა რუსეთთან კონფლიქტში უკრაინაში 2014 წელს რუსეთის ჩარევის, ხოლო 2022 წელს შეჭრის გამო. საქართველოს ხელისუფლება და მასთან დაკავშირებული პირები აცხადებენ, რომ დასავლეთი, კერძოდ, შეერთებული შტატები საქართველოს სთხოვს, რუსეთს სანქციები დაუწესოს და „მეორე ფრონტი“ გახსნას უკრაინის ომში.

ამ განცხადებებთან დაკავშირებით რამდენიმე პრობლემა არსებობს. მეორე ფრონტის გახსნა საქართველოდან პრობლემატურია. საზღვაო ოპერაციები, საქართველოს საზღვაო ძალების უნარიანობის გათვალისწინებით, თვითმკვლელობა იქნებოდა. სახმელეთო ოპერაციები კავკასიის მთების ძალის გამოყენებით გადალახვას მოითხოვს. აშკარაა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები თავდაცვითი ოპერაციებისთვის არის გაწვრთნილი და აღჭურვილი და არა თავდასხმითი ოპერაციებისთვის. ამრიგად, ესეც თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა, თუ ნატო არ განათავსებდა მისი საბრძოლო ძალების და საჰაერო თავდაცვის დიდ კონტინგენტს საქართველოში, რასაც ის, დიდი ალბათობით, არ გააკეთებს.

---

5. ევროკავშირის პრიორიტეტების სრული სია იხილეთ აქ: The Twelve Priorities | EEAS (europa.eu)

6. ჰვა ამჟამინდელი კანდიდატიდან ხუთი 10 წლიზე მეტია ჰაც წევრობას ელოდება. ეხთ-ეხთი 24 წელია ელოდება. EU membership, how to join, candidates| European Union (europa.eu).

რაც შეეხება სანქციებს, საქართველოს ბევრი ლეგიტიმური ეკონომიკური მიზეზი აქვს, რომ არ დაუწესოს საკუთარი სანქციები რუსეთს, რადგან რუსეთთან ვაჭრობა და სხვა ეკონომიკური გარიგებები დიდ როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკის მდგრადობაში. საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემების თანახმად, არანაირი ოფიციალური მოთხოვნა დასავლეთის მხრიდან, რომ საქართველოს საკუთარი სანქციები დაეწესებინა რუსეთთან ვაჭრობაზე, ტრანსპორტირებასა და ფულად ურთიერთობებზე არ ყოფილა. მეტიც, საქართველო დაეთანხმა აშშ-ის და ევროკავშირის მიერ რუსეთისთვის დაწესებული სანქციების შესრულებას. საქართველომ მხარი დაუჭირა გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს, რომლებმაც უკრაინაში რუსეთის აგრესია დაგმეს და რუსეთს ჯარების გაყვანისკენ მოუწოდეს.

ვინაიდან საქართველოს მთავრობას და მის მოკავშირეებს საქართველოს პარლამენტში არანაირი მტკიცებულება არ წარმოუდგენიათ, რომლებითაც დადასტურდებოდა მათი განცხადებები საქართველოზე აშშ-ის სერიოზული ზეწოლის შესახებ, რათა საქართველო ომში ჩაერთოს ანდა სადამსჯელო სანქციები დაუწესოს რუსეთს, ხოლო აშშ-ის ოფიციალური პირები ასეთი ზეწოლის არსებობას უარყოფენ, ეს ბრალდებები არადამაჯერებელია. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გამოთქმული ასეთი ბრალდებები უფრო შიდა პოლიტიკის საქმე ჩანს, ვიდრე საგარეო პოლიტიკის.

ბოლო დრომდე საქართველო საკმაოდ წარმატებით ახერხებდა ბალანსირებას ერთი მხრივ დასავლეთსა და მეორე მხრივ, რუსეთს შორის. ბოლო მოვლენებმა კი ახალი კითხვები გააჩინა. რუსეთის გადაწყვეტილება სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე საქართველოს მოქალაქეებისთვის და რუსეთიდან საქართველოში პირდაპირი ფრენების აღდგენაზე უდავოდ წარმოადგენს კრემლის მიზანმიმართულ მცდელობას, საქართველო კიდევ უფრო დააცილოს მის დასავლურ მისწრაფებებს. ეს ინიციატივები, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება საკმაოდ თბილად შეხვდა, რუსეთის აშკარა მცდელობაა, გადაიბიროს საქართველო და მოწყვიტოს ის მის დასავლურ ორიენტაციას.

რომ შევაჯამო, საქართველო ძალიან რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში მდებარეობს. კერძოდ, ის დგას გეოპოლიტიკურ კონფლიქტის წინაშე, რომელიც მის მთავარ სტრატეგიულ საფრთხესა (რუსეთი) და მის მთავარ კეთილისმსურველებს (აშშ, ნატო და ევროკავშირი) შორის წარმოიქმნა უკრაინაში მიმდინარე ომის თაობაზე. საქართველოს დასავლელ მეგობრებს საქართველოსთვის არ მიუციათ უსაფრთხოების გარანტიები, ხოლო საქართველოს გაწევრიანება ამ ინსტიტუტებში შორი პერსპექტივაა. იმ პირობებში, როდესაც რუსეთის უზარმაზარი ზომის, მოსახლეობის და დარჩენილი შეიარაღებული ძალის დასაბალანსებლად საგარეო დაცვა არ არსებობს, საქართველომ ბალანსი უნდა დაიცვას დასავლეთსა და რუსეთს შორის. დასავლეთისკენ მკვეთრად გადახრის შემთხვევაში, მას რუსეთის მხრიდან სამხედრო შურისძიების საფრთხე ემუქრება. რუსეთისკენ მკვეთრად გადახრის შემთხვევაში კი, მას მისი დასავლელი პარტნიორებისგან გაუცხოება ელის. მთავარი ამოცანაა, მოიქცეს ისე, რომ თითოეული ეს მხარე იყოს კმაყოფილი და თავი შეიკავოს მკვეთრი მოძრაობებისგან რომელიმე მხარის მიმართულებით.

ცოტა ხნის წინ კაკაჩია და ლებანიძე (2023) მსჯელობდნენ, რომ „ბოლო 20 წლის განმავლობაში [საქართველოს] საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი იყო რუსეთის შეკავება დასავლური ინტეგრაციის პოზიციების მეშვეობით - სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, დასავლურ ინსტიტუტებთან და ორმხრივ პარტნიორებთან სტრატეგიული და ნორმატიული ჰარმონიზაცია - და ძალის პოზიციიდან დიალოგის გამართვა რუსეთთან ტერიტორიული და სხვა პრობლემების გადასაჭრელად.“ ისინი ასევე ფიქრობენ, რომ საქართველო ამ ტრადიციას დასცილდა და „საგარეო პოლიტიკის მთავარ საკითხად რუსეთის უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინება დააყენა.“ ეს დამაჯერებელი არგუმენტია.[7] თუმცა, მელოსელების დიალოგის პარაფრაზირებას თუ გავაკეთებთ, საიმედო ალიანსების არარსებობის პირობებში, მცირე სახელმწიფოს ერთი არჩევანი აქვს - ან მის დამაშინებელ, უფრო ძლიერ მეტოქეს აამოს ან გაქრეს. დასავლეთს არ

---

7. მახთაღია, დამაჯეჰებეღია, მაგჰამ ეს ახგუმენტი აჩვენებს, ჰომ საქახთვეღო სწჰაფვა დასავღეთისკენ ტჩანსაქციუჰია და აჰა ღიჰებუღებებზე დაფუძნებუღი.

მიუცია საქართველოსთვის უსაფრთხოების რაიმე მყარი გარანტიები, ევროკავშირში ან ნატო-ში ქვეყნის გაწევრიანება, არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შორი მომავლის პერსპექტივაა. რუსეთთან კონფლიქტი უფრო რეალური ჩანს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ ვითარებაში, რომელიც უკრაინაში ომმა უკიდურესად გაამწვავა, გონივრული (და სამწუხარო) ვარიანტი შეიძლება „დაშოშმინების პოლიტიკის" რაღაც ფორმა იყოს. ეს სახეცვლილება იმ სპეციფიკურ პირობებზე პასუხია, რომლებიც დღევანდელ საერთაშორისო და ადგილობრივ გარემოში არსებობს. გასაგებია, რომ ამას ძალიან ეწინააღმდეგებიან საქართველოში, მათ შორის ქვეყნის პრეზიდენტი (ზურაბიშვილი, როგორც ინტერპრესნიუსი იუწყება). ამიტომ, ის არ არის მუდმივი.

დასკვნითი მოსაზრება

ამ ნაშრომში, საქართველოს საგარეო პოლიტიკის მაგალითზე, კითხვის ქვეშ არის დაყენებული ღირებულებებზე დაფუძნებულ და ტრანსაქციურ საგარეო პოლიტიკას შორის განსხვავების სარგებლობა ისეთი მცირე სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის გაანალიზებისას, რომელიც კონფლიქტში მყოფ ზესახელმწიფოებს შორის არსებობს. ამის ნაცვლად ის უბრუნდება უფრო ტრადიციულ მიდგომას, რომელიც ფოკუსირებულია სერიოზულ საგარეო საფრთხეებზე და იმაზე, თუ რა არის აუცილებელი ამ საფრთხეების შესამსუბუქებლად. ვარაუდია გამოთქმული, რომ ბევრი ცუდი ვარიანტიდან საუკეთესო ვარიანტს წარმოადგენს ორივე ურთიერთდაპირისპირებულ ძალასთან ლიმიტირებულად მორგება, რომელიმე მიმართულებით მკვეთრი მოძრაობის გარეშე. საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკაში ბოლოდროინდელი მოვლენები შეშფოთების საფუძველს ქმნის საქართველოშიც და დასავლეთშიც იმის თაობაზე, ხომ არ ასცდა საქართველოს დაბალანსების გზა და ხომ არ იხრება ის (ფეხაკრეფით მიტმასნა) (Walt, 1987) რუსეთისკენ. ამ მიმართულებით მკვეთრი გადახრა საფრთხეს შეუქმნის საქართველოს დასავლურ მისწრაფებებს, ისევე როგორც საფრთხეს შეუქმნის ხელისუფლების სავარაუდო წინააღმდეგობა ევროკავშირის 12 რეკომენდაციის შესრულებაზე. ეს გადახრა, თუ გაგრძელდა, საქართველოს რუსეთის ორბიტაზე დაბრუნების რისკის ქვეშ აყენებს, რაც საქართველოს სახელმწიფოსა და მის მოსახლეობას დააზარალებს.

პროფესორი ჯონსი ხაზს უსვამს საქართველოს ადრინდელი მცდელობების წარუმატებლობას, კეთილად განეწყო მის მიმართ რუსეთი. ის გვთავაზობს „მრავალვექტორულ საგარეო პოლიტიკას, ფოკუსირებულს შავი ზღვის რეგიონზე, რომელიც მოიცავს საქართველოს უშუალო მეზობლებს - სომხეთსა და აზერბაიჯანს, ევროკავშირის ქვეყნებს - რუმინეთსა და ბულგარეთს, და ევროკავშირის პოტენციურ წევრ ქვეყნებს - თურქეთს, მოლდოვასა და უკრაინას, ასევე მნიშვნელოვან მეზობლებს ცენტრალური აზიიდან და ირანს, რომლებიც შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვებას ცდილობენ." მისი აზრით, ეს „უფრო გონივრულია საქართველოს ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების შესაქმნელად" დასავლეთის „ცვალებადობის" გათვალისწინებით.

საქართველოს ორ კავკასიურ მეზობელს შორის არ არსებობს თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში. არც კავკასიის სამ სახელმწიფოს შორის არსებობს უსაფრთხოების საკითხებზე სამმხრივი თანამშრომლობა. შავი ზღვისპირა ქვეყნებს შორის სუბრეგიონულ უსაფრთხოებაზე თანამშრომლობა სუსტია (თუ არ ვიტყვით, რომ არ არსებობს), იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინის, რუმინეთისა და ბულგარეთის საგარეო პოლიტიკა დასავლეთისკენ, ევროკავშირისა და ნატო-სკენ არის მიმართული, უკრაინა ომობს კიდევ ერთ შავიზღვისპირა სახელმწიფოსთან (რუსეთი), ხოლო საქართველოს ეგზისტენციალურ საფრთხეს რუსეთი წარმოადგენს, რომელსაც საზღვაო და საჰაერო უპირატესობა აქვს შავი ზღვის ჩრდილოეთ მონაკვეთში.

ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობა რუსეთის მიერ მართული კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულები ორგანიზაციისა და შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ჩინურ-რუსული კონდომინიუმის ფარგლებში ხდება. ჩინეთი და ირანი ეკონომიკურ და უსაფრთხოების საკითხებში რუსეთთან თანამშრომლობენ უკრაინასთან ამ უკანასკნელის კონფლიქტის მიმდინარეობისას; ეს ქვეყნები, ისევე, როგორც ცენტრალური აზიის ქვეყნები, საკმაოდ დარწმუნებული არიან, რომ ინფრასტრუქტურული კავშირები, რომლებიც ცენტრალურ აზიას საქართველოს გავლით აქვს, დიდი ალბათობით, შენარჩუნდება დამოუკიდებლად იმისა, წარმოექმნება თუ არა საქართველოს რუსეთთან

უსიამოვნებები. თურქეთი ეკონომიკურ საკითხებზე თანამშრომლობს რუსეთთან. ირანი არ თანამშრომლობს უსაფრთხოების საკითხებზე საქართველოსთან. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოსთვის რეგიონული უსაფრთხოების მრავალვექტორული ალტერნატივა არ არსებობს. საქართველოსთვის ეს კარგ ალტერნატივად არ ჩანს.

რეალურად, საქართველოსთვის არ არსებობს რაიმე ცალსახად პოზიტიური უსაფრთხოების ალტერნატივა. ამრიგად, არჩევანი ის კი არ არის, რომელი ვარიანტია საუკეთესო, არამედ ის, თუ რომელია საუკეთესო ყველაზე ცუდ ვარიანტებს შორის. პროფესორ ჯონსის ალტერნატივა არ არის კეთილსაიმედო, როგორც ამას ზემოთ წარმოდგენილი ემპირიული ანალიზი აჩვენებს. ყველაზე ცუდ ვარიანტებს შორის არსებულ ვითარებაში საუკეთესოა დაბალანსება დასავლეთსა და რუსეთს შორის. ეს შეიძლება შეიცვალოს, თუ უკრაინა ომს მოიგებს. დღეის მდგომარეობით, სწრაფი გამარჯვების პერსპექტივა არა ჩანს. ამრიგად, საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს ამ მუდმივად უკიდურესად საშიში გარემოს სამართავად. იმედია, საქართველოს ხელისუფლება გამოიჩენს გამჭრიახობას და სიბრძნეს ამ გზის ნავიგაციაში, რადგან არავინ ამას მათ ნაცვლად ვერ გააკეთებს.

ღირებულებები და ინტერესები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში

სტივენ ჯონსი
ჰარვარდის უნივერსიტეტი

შესავალი

საქართველო, როგორც სახიფათო საერთაშორისო მეტოქეობაში მოყოლილი პატარა ქვეყანა, უკეთეს მდგომარეობაში ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკის გატარების შემთხვევაში იქნებოდა, თუ ტრანსაქციური საგარეო პოლიტიკის გატარების? ამ კითხვაზე თავის დამაჯერებელ და ანალიტიკურ პასუხში პროფესორი მაკფარლეინი აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნულ მიდგომებს შორის განსხვავების ძიება არაფრისმომცემია, რომელსაც დოქტორანტურის სტუდენტიც კი არ დაიწყებდა. საგარეო პოლიტიკის დიდი უმრავლესობა „ღირებულებების“ და პრაგმატული „ტრანსაქციების“ ნარევს წარმოადგენს, ხოლო მათ შორის ბალანსი დროთა განმავლობაში იცვლება იმისდა მიხედვით, თუ როგორია გლობალურ ძალთა ბალანსი, რეჟიმის ტიპი, საშინაო რეაქციები, რისკის აღქმა ლიდერების მიერ და საფრთხის ხასიათი. პროფესორ მაკფარლეინს მაგალითებად პოლონეთის, ფინეთისა და აშშ-ის ქმედებები მოჰყავს, რომლებიც საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელთა მოტივებისა და მიზნების ბუნდოვანებას ასახავს. მაკფარლეინი ასევე განიხილავს „ღირებულებების“ ბუნებას. ის სვამს კითხვას: ვისი ღირებულებები და რომელი ღირებულებები? საქართველოს ლიდერები ამტკიცებენ, რომ ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაცია სურთ, მაგრამ ისეთ პოლიტიკას ატარებენ, რომელსაც თავად ევროპელი ლიდერები ევროპულ ღირებულებებთან შეუსაბამოს უწოდებენ. ამრიგად, რა არის საქართველოს ხელისუფლების ღირებულებები? შესაძლებელია მათი განსაზღვრა? და შეესაბამება კი ისინი ევროპულ ნორმებს და თავად საქართველოს მოქალაქეთა ღირებულებებს?

მიუხედავად იმისა, რომ პროფესორი მაკფარლეინი უარყოფს ბინარულ სტრუქტურას, ბოლოს ის საქართველოსთვის მაინც „ან, ან“ არჩევანს გვთავაზობს. „საქართველომ ბალანსი უნდა დაიცვას დასავლეთსა და რუსეთს შორის,“ წერს ის. „დასავლეთისკენ მკვეთრად გადახრის შემთხვევაში, მას რუსეთის მხრიდან სამხედრო შურისძიების საფრთხე ემუქრება. რუსეთისკენ მკვეთრად გადახრის შემთხვევაში კი, მას მისი დასავლელი პარტნიორებისგან გაუცხოება ელის.“ უდავოა, რომ ამ ორ ალტერნატივას შორის სივრცე არსებობს, მაგრამ თუ „სამხედრო შურისძიება“ საქართველოს ევროპული არჩევანის პოტენციური შედეგია, როგორც ამას პროფესორი მაკფარლეინი ვარაუდობს, მაშინ რუსეთი ეგზისტენციალური საფრთხეა როგორც საქართველოსთვის, ასევე ევროპული უსაფრთხოებისთვის. ბოლო 100 წლის განმავლობაში რუსეთი საქართველოში ორჯერ შემოიჭრა (სამჯერ, თუ რუსეთის სამხედრო ინტერვენციასაც ჩავთვლით აფხაზეთსა და ოსეთში 1990-იან წლებში). მისი თავდასხმა უკრაინაზე იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთს იმპერიული ამბიციები არ დაუვიწყებია. როცა ვლადიმირ პუტინს ვუსმენთ, ნათელია, რომ ბოლო პერიოდში ეს ამბიციები გაძლიერებულია. 2022 წლის თებერვალში რუსეთმა მესამედ დაიპყრო სამხედრო ძალით მეზობელი ქვეყნის ტერიტორია ბოლო 14 წლის განმავლობაში, რითაც მან საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი შეარყია და რამაც აჩვენა, რომ ეს მისი ქცევის მოდელი იყო, ვიდრე უბრალოდ იზოლირებული ქმედება. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის ბოლოდროინდელი გამოკითხვების თანახმად, ქართველები აცნობიერებენ რუსეთიდან მომავალ განსაკუთრებულ საფრთხეს თავიანთი ქვეყნისთვის. კითხვის პასუხად, თუ რომელი ქვეყანა წარმოადგენდა საქართველოსთვის „მთავარ პოლიტიკურ საფრთხეს,“ 2023 წლის მარტში გამოკითხულთა 87%-მა რუსეთი დაასახელა (დიაგრამა 2) (IRI 2023).

დიაგრამა 2: რამოთვლილთაგან რომელი ქვეყანა უქმნის ყველაზე სერიოზულ პოლიტიკურ საფრთხეს საქართველოს?



წყარო: საქართველოს მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის კვლევა, მარტი 2023, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI). ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: https://www.iri.org/resources/national-public-opinion-survey-of-residents-of-georgi

სამ არგუმენტს გთავაზობთ, რომლებიც, უკრაინაში მიმდინარე ომის გათვალისწინებით, ეჭვქვეშ აყენებს რეალისტურ (და ნეორეალისტურ) მიდგომას საქართველო-რუსეთის ურთიერთობებისადმი. ზოგადად, მე სკეპტიკურად ვუყურებ რეალიზმსა და მის მონათესავე დოქტრინებს, რომლებიც, მიუხედავად მათი მტკიცებებისა რეალპოლიტიკაზე და პრეტენზიებისა უნივერსალიზმზე, სახელმწიფოს გადარჩენის, ძალაუფლების, პოლიტიკის და შედეგების საკმაოდ გამარტივებულ განტოლებებს წარმოადგენენ, რომლებიც, ამავე დროს, არ ითვალისწინებს ისტორიის სირთულეებს, პიროვნებებს, ადგილობრივ კონტექსტებსა და ღირებულებებს (როგორი განსაზღვრებაც არ უნდა მივცეთ მათ). რაციონალური არჩევანი იშვიათად კეთდება ღირებულებითი კონტექსტის მიღმა. რეალიზმი ღირებულებაა, რომელიც ეხმიანება საერთაშორისო სისტემაში სუპერსახელმწიფოების დომინირების იდეას. ის რეალიზმი, რაც პუტინის მმართველობის ქვეშ რუსულ ექსპანსიონიზმს ამოძრავებს, განპირობებულია ისტორიისა და რუსეთის როგორც სუპერსახელმწიფოს უფლებების პუტინისეული გაგებით. მე სამი არგუმენტი მაქვს. პირველი ეხება ბოლო 200-ზე მეტი წლის განმავლობაში რუსეთ -საქართველოს შორის სახელშეკრულებო მოლაპარაკებების უარყოფითი შედეგების ისტორიულ გაკვეთილებს. მეორე არგუმენტი არის ის, რომ რუსეთის ომი უკრაინაში კრიტიკული შემობრუნების წერტილია საერთაშორისო ურთიერთობებში. მისი შედეგი გაბედული და მკვეთრი ძვრები იქნება ევრაზიულ პოლიტიკასა და უსაფრთხოებაში. ეს ომი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საერთაშორისო წესრიგის იმ მორალურ საფუძვლებს, რომლებიც 1945 წლის ივნისში გაერო-ს ქარტიის ხელმოწერის მომენტიდან არსებობს. ეს მორალური საფუძვლები, მიუხედავად დიდი სახელმწიფოების ჩვეული მისწრაფებისა, უგულებელყონ ისინი, გამყარებულია უამრავი შეთანხმებებითა და კონვენციებით, რომლებსაც გაერო-ს წევრი ქვეყნები აწერენ ხელს.

ის შეზღუდვები ინტერვენციაზე, რომლებიც გაერო-ს ქარტიით არის დაწესებული, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია პატარა სახელმწიფოებისთვის, ვიდრე მათ ირგვლივ არსებული დიდი სახელმწიფოებისთვის. მცირე ქვეყნების სუვერენიტეტი მათზეა დამოკიდებული, ხოლო რუსეთის

მიზანი მათი გაუქმებაა. დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო ვერ გადარჩება რუსეთის ახალ/ძველ საერთაშორისო წესრიგში. ჩემი მესამე არგუმენტი ეხება პოპულისტურ გალაშქრებას ლიბერალური დემოკრატიის წინააღმდეგ როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ დონეზე, რომელიც ამცირებს დემოკრატიულად არჩეული ლიდერების ანგარიშვალდებულებას მათი მოქალაქეების წინაშე. ეს ახალი ფენომენი არ არის, მაგრამ ის გვეხმარება, ავხსნათ ის განსხვავება, რაც საქართველოს ხელისუფლებასა და საქართველოს საზოგადოებას შორის არსებობს ევროკავშირთან დაკავშირებული პოლიტიკის თაობაზე. საქართველო ერთ-ერთი მაგალითია იმ თავსებადობის, რომელიც არსებობს იმ პოპულისტურ ელექტორალურ მექანიზმებსა, რომლებიც ქვეყნის ელიტას ძალაუფლებას უნარჩუნებს, და ანტილიბერალურ გლობალურ წესრიგს შორის, რომელსაც რუსეთი უძღვება საზღვარგარეთ. პუტინის გაგებით, ომი უკრაინაში რუსეთის იმპერიული სახელმწიფოს გადარჩენის საკითხიცაა და იმ ნახევრად ავტორიტარული სახელმწიფოების გადარჩენის საკითხიც, რომლებიც რუსეთის არალიბერალურ მოდელს უჭერენ მხარს. ეს ომი იმდენადვე ეხება პოპულისტური ავტორიტარიზმის გაძლიერებას, რამდენადაც ის ეხება რუსეთის სახელმწიფო ინტერესების პუტინისეული აღქმის.

ისტორიის რამდენიმე გაკვეთილი

რევანშიზმი, პუტინის რეჟიმის იმპერიული ექსპანსიის ეს მკაფიოდ გამოხატული მოტივი მისი მეზობლების წინააღმდეგ, და სასტიკი ომი უკრაინაში ცვლის საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს არჩევანის ხასიათსაც და პოლიტიკურ გათვლებსაც მის შედეგებთან დაკავშირებით. პროფესორ მაკფარლეინის არგუმენტი გასაგებია. საქართველოს აქვს არჩევანი - მართალია, ცუდი, მის ღირებულებებსა და მიზნებთან შეუსაბამო, მაგრამ ისეთი, რომელიც შეუძლია გააკეთოს მისი (სავარაუდო) ინტერესების შესაბამისად. ასე მოხდა 1783 წელს, როდესაც ერეკლე II-მ „გეორგიევსკის ტრაქტატს“ მოაწერა ხელი და საქართველო რუსეთის პროტექტორატი გახდა. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 1920 წლის მაისში მოაწერა რუსეთთან შეთანხმებას ხელი იმ იმედით, რომ დამოუკიდებლობას შეინარჩუნებდა ევროპის ქვეყნებთან ალიანსის დამყარების პარალელურად, რასაც ის 1918-1921 წლებში ცდილობდა. პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ანალოგიური „დაბალანსებული“ არჩევანი გააკეთა, როდესაც 1993 წელს საქართველო რუსეთის მიერ კონტროლირებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობ-რობაში (დსთ) შევიდა, ხოლო 1994 წელს ნატო-ს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ მონაწილე გახდა. ყველა ეს არჩევანი გარშემო მყოფი ძლიერი ქვეყნების, განსაკუთრებით, რუსეთის დასაბალანსებლად გაკეთდა. ისინი თვითგადარჩენის ინტერესებიდან გამომდინარე გაკეთდა, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა, მიუხედავად იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება იმ დროს პრაგმატული ჩანდა, ვერ დაიცვა საქართველო რუსეთის იმპერიული ამბიციისა და კონტროლისგან. ისტორია მნიშვნელოვანი გაკვეთილია საქართველოსთვის. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები იმის ილუსტრაციაა, რომ ძალა აღმართს ხნავს. ის ხაზს უსვამს რეალიზმის არგუმენტს ძალთა ასიმეტრიის შედეგების შესახებ, მაგრამ ასევე აჩვენებს, რომ საქართველოს ლიდერები უშედეგოდ ცდილობდნენ რუსეთის ქცევის შეცვლას პრაგმატული ალიანსებით. ეს გაფრთხილება უნდა იყოს ახლანდელი ხელისუფლებისთვის. რეალიზმი შეგვახსენებს, რომ სახელმწიფოები არ უნდა ენდონ შეკავების (ან, მითუმეტეს, დახმარების) დაპირებებს სუპერსახელმწიფოებისგან.

უკრაინის ომის გავლენა

რუსეთის ომი უკრაინაში აჩვენებს რუსეთის მტკიცე რწმენას, რომ მას აქვს უფლება, დაიპყროს მეზობლები და იბატონოს მათზე. ჯორჯ კენანმა თითქმის 80 წლის წინ დაწერა: „კრემლის ეჭვიან და შეუწყნარებელ თვალს, ბოლოს, მხოლოდ ვასალების და მტრების გარჩევა შეუძლია და თუ რუსეთის მეზობლებს არ სურთ, რომ პირველნი იყვნენ, უნდა შეეგუონ იმას, რომ იქნებიან მეორენი“ (Zakaria 2014). ეს ვინმეს შეიძლება ძველმოდურ რუსოფობიად მოეჩვენოს, მაგრამ სწორედ ასე ფიქრობს პუტინი და სწორედ ასე იქცევა პუტინის რუსეთი როგორც კავკასიაში, ისე აღმოსავლეთ ევროპაში. უკრაინა მტერია, ბელარუსი კი ვასალი. პუტინი და მისი ელიტა არ მოიქცევიან სხვაგვარად, სანამ რევოლუცია არ მოხდება, რომელსაც, დიდი ალბათობით, დამამცირებელი სამხედრო დამარცხება გამოიწვევს. იმპერიული მენტალიტეტი ისე ღრმად არის გამჯდარი რუსეთის პოლიტიკურ კლასში, რომ მის ამოძირკვას დასჭირდება რუსული სახელმწიფოს სასტიკი წარსულის ხანგრძლივი გააზრება ხალხის მიერ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ასეთი რამ თუ საერთოდ მოხდა, ეს მხოლოდ პუტინის რეჟიმის ჩამონგრევის შემდეგ მოხდება. მანამდე საქართველო, როგორც ყველა მცირე სახელმწიფო, მოწყვლადი რჩება. რუსეთს საქართველოს ტერიტორიის 20% აქვს ოკუპირებული და შეუძლია პროვოკაციული სცენარები გაითამაშოს საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური დესტაბილიზაციის გამოსაწვევად. როგორც საქართველოს ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა მითხრა, არჩევანის საკითხი ისე მწვავედ, როგორც დღეს დგას, არასდროს მდგარა. საქართველო შეიძლება იყოს საგარეო პოლიტიკის ობიექტი (თანასწორობა სხვა სახელმწიფოებთან) ანდა საგარეო პოლიტიკის სუბიექტი (უფრო ძლიერი სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ). რუსეთთან ურთიერთობაში „შუალედური გზა“ ძალიან იშვიათად ამართლებდა მისი მცირე ზომის მეზობლებისთვის. პროფესორი მაკფარლეინი აღნიშნავს, რომ ფინეთი შესაძლოა გამონაკლისი იყოს; ფინეთის მიერ 1948 წლის აპრილში დადებული „შეთანხმებით საბჭოთა კავშირთან მეგობრობის, თანამშრომლობის და ორმხრივი დახმარების შესახებ“ ქვეყანამ შიდა სუვერენიტეტი შეინარჩუნა, სსრკ-მ კი საგარეო პოლიტიკაში პატივისცემით მოპყრობა მიიღო. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი, რუსეთის ძალაუფლებამ ფინეთის საშინაო პოლიტიკაში შეაღწია და სსრკ-ს მისამართით ღია კრიტიკას აკავებდა. საქართველოს შემთხვევაში, შუალედური გზა დროებით ამსუბუქებდა საფრთხეს, მაგრამ არასდროს მოუტანია უფრო ძლიერი დაცვა რუსეთისგან; პირიქით, ასეთი პოლიტიკის გამო საქართველო ყოველთვის რუსეთის საგარეო პოლიტიკის ობიექტი ხდებოდა.

„ბალანსი“ დაპირისპირებულ სუპერსახელმწიფოებს შორის, რომლის ერთ ბოლოს რუსეთია, აღარ წარმოადგენს საქართველოსთვის რეალისტურ არჩევანს. ეს არგუმენტები არა მარტო რუსეთ-საქართველოს ცვალებადი ურთიერთობების ხანგრძლივ გამოცდილებას ეხება, არამედ იმას, შეესაბამება თუ არა „შუალედური“ გზა საქართველოს, როგორც სუვერენული ქვეყნის, გრძელვადიან ინტერესებს. რუსეთი არ არის კეთილგანწყობილი მეზობელი, ან ისეთი მეზობელი, რომელიც საერთაშორისო წესრიგის წესების ფარგლებში მოქმედებს. იგივე შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ზეც, მაგრამ 2014 წელს რუსეთმა რევიზიონისტულ სახელმწიფოდ დაიმკვიდრა თავი, რომელიც პრინციპულადაც და პრაქტიკულადაც უარს ამბობს jus cogens-ის[8] ძირითად პარამეტრებზე. თუ რუსეთი ამ ომში მოიგებს - იქნება ეს საბრძოლო ველზე, თუ სამშვიდობო მოლაპარაკებების დროს, თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო დარჩება რუსეთის გავლენის სფეროში როგორც „სუბიექტი“, ვიდრე საგარეო პოლიტიკის „ობიექტი“. საქართველოს ხელისუფლების რიტორიკულმა შემოტრიალებამ დასავლეთისგან, რუსეთთან დაკავშირებით მის სიფრთხილესა და დაბალანსებასთან ერთად, ასევე მისმა მზაობამ, აწარმოოს ბიზნესი ამ პარია სახელმწიფოსთან , უკვე ძალიან სერიოზულად დააზიანა საქართველოს პოლიტიკური კაპიტალი ევროკავშირსა და აშშ-ში. საქართველომ შესაძლოა ბოლოს მიიღოს ევროკავშირის კანდიდატობა, როგორც უკრაინა-მოლდოვის პაკეტის ნაწილმა, მაგრამ უკვე საქართველოს ინტერესებში აღარ არის ევროპის გაუცხოება რუსეთის დაშოშმინებისათვის, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ შესაძლებლობას ყოველთვის ზღუდავდა. რუსეთი სერიოზულ გეოპოლიტიკურ დაღმასვლას და უკრაინისგან, ანუ უფრო პატარა დასავლელი მეზობლისგან, სამხედრო დამცირებას განიცდის. საქართველოს მიერ რუსეთსა და დასავლეთს შორის „ბალანსირება“ აღარ ემთხვევა რეალიზმის უპირატესობებს.

---

8. საერთაშორისო სამართალში Jus cogens ნორმები სხვა ნორმებისგან განსხვავდება: ისინი სავალდებულოა და, უმეტეს შემთხვევებში, უნივერსალური ნორმებად ითვლება. ამის მაგალითებია საერთაშორისო კანონები, შეთანხმებები და კონვენციები, ჰომლებიც კრძალავს დანაშაულებს ადამიანობის წინააღმდეგ, მონობასა და გენოციდს.

სამწუხაროდ, არც „დასავლეთი“ წარმოადგენს საქართველოს უსაფრთხოების გარანტიას. თუმცა, უფრო მკაფიოდ და მძლავრად პროევროპული მთავრობა თბილისში, და არა „შუალედური“ მთავრობა, ხელს შეუწყობდა საქართველოსთვის, როგორც, იაკობაშვილის სიტყვებით თუ ვიტყვით, საგარეო პოლიტიკის „ობიექტისთვის“, უფრო მეტ მხარდაჭერას. ამ ეტაპზე საქართველომ უნდა ისარგებლოს სამხრეთ კავკასიაში რუსეთის დასუსტებით და გაატაროს ისეთი საგარეო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების კოალიციაზე, რომელშიც შედის საქართველოს უშუალო მეზობლები (სომხეთი, ევროკავშირის შუამავლობით, აზერბაიჯანთან სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერისკენ მიდის), ევროკავშირის წევრი ქვეყნები - რუმინეთი და ბულგარეთი, და ევროკავშირის პოტენციური ქვეყნები - თურქეთი, მოლდოვა და უკრაინა, ასევე ცენტრალური აზიის მეზობელი ქვეყნები და ირანი, რომლებსაც შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება სურთ. არც ასეთი რეგიონული ორიენტაციაა საქართველოს უსაფრთხოების გარანტია, მაგრამ, ღირებულებების და ინტერესების თვალსაზრისით, ის უფრო გონივრულია საქართველოსთვის, ვიდრე რუსეთთან ურთიერთობების რეკალიბრირება და დაღმავალ იმპერიულ სახელმწიფოსთან კავშირების შენარჩუნება. საბოლოო ჯამში, სტრატეგიული მიზანი უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანება უნდა დარჩეს.

რბილი ძალა

პროფესორი მაკფარლეინი ჯოზეფ ნაის ცნობილ რბილი ძალის კონცეფციას ახსენებს. ნაის განმარტებით, რბილი ძალა არის „უნარი, გავლენა მოახდინო სხვებზე, რათა მიიღო სასურველი შედეგები მოხიბვლით და დარწმუნებით, ვიდრე იძულებით ან მოსყიდვით“ (Nye 2017). ეს ყოველთვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტია საგარეო პოლიტიკაში მცირე სახელმწიფოებისთვის, როგორიც საქართველოა (და დიდი კავშირებისთვის, როგორიც ევროკავშირია). რბილმა ძალამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა საქართველოს მიერ პოტენციური ევროპული ქვეყნის სტატუსის შენარჩუნებაში. საქართველო ტრაბახობდა, ზოგჯერ სრულიად სამართლიანად, თავისი დემოკრატიული რეფორმებით და კორუფციის აღმოფხვრით. რეკლამას უწევდა თავის გეოგრაფიას ტურიზმისა და ბიზნესისთვის (ქვეყანა, სადაც აღმოსავლეთი ხვდება დასავლეთს და სადაც უძველესი აბრეშუმის გზები საქართველოს როლს ადასტურებს საერთაშორისო ვაჭრობაში). საქართველო წარმატებით უწევდა პოპულარიზაციას თავისი კულტურულ ბრენდს მთელ მსოფლიოში, იქნებოდა ეს კულინარიული ხელოვნება, ოპერის მომღერლები, რეჟისორები თუ გამოჩენილი ფეხბურთელები. 2000-იან წლებში საქართველო ერთ-ერთ პოპულარულ ადგილად იქცა უცხოელი დიპლომატებისთვის სამუშაოდ. ის თავს ლიბერალიზმის, მოდერნიზმის ერთგულ მიმდევრად წარმოაჩენდა და მან ევროპეიზმის იდეა საკუთარი იდენტობის და ისტორიის ნაწილად აქცია. რბილი ძალა არ არის ის მექანიზმი, რომელიც საქართველოს სუვერენიტეტის დაცვას უზრუნველყოფს დასავლეთის მიერ, მაგრამ ის, რომ საქართველოს ლიდერები იმეორებენ რუსეთის ანტიდასავლურ რიტორიკას და ასევე პოლიტიკას (მაგალითად, „უცხოეთის გავლენის აგენტების“ კანონის ინიციირება ამ გაზაფხულზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების გაკონტროლებას ისახავდა მიზნად), ძირს უთხრის საქართველოს დემოკრატიულ იმიჯს, რომელიც საქართველომ დაიმკვიდრა 2000-იან წლებში სააკაშვილის პირველი ვადის (2004-2008) და ასევე, „ქართული ოცნების“ პირველი ვადის (2012-2016) დროს. საქართველოს ევროპეიზმის დელეგიტიმიზაცია ძირს უთხრის მის, როგორც ევროკავშირის კანდიდატის, სტატუსს და შეუძლია საერთოდ გამორიცხოს საქართველო ევროპული „სახლიდან“ და შესაბამისად, დააკარგვინოს გაზრდილი უსაფრთხოების შანსი.

მორალური მხარე?

ევროპაში მიმდინარე სასტიკი იმპერიული ომის განსაკუთრებულ პირობებში, რომელიც მოიცავს ომის დანაშაულებისა და ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების ბრალდებებს რუსეთის მიმართ, მორალური არგუმენტები რუსეთისთვის წინააღმდეგობის გაწევის სასარგებლოდ გადაწონის ინტელექტუალურ დებატებს ლიბერალებსა და რეალისტებს შორის იმის თაობაზე, უნდა თამაშობდეს თუ არა მორალი საერთოდ რაიმე როლს საერთაშორისო ურთიერთობებში. 2003 წლის აპრილში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რუსეთი დამნაშავედ ცნო არაადამიანურ ქმედებებში საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ 2008 წლის ომის დროს. მაგრამ ეს ვერ შეედრება იმ მორალურ კატასტროფას, რაც უკრაინაში ხდება. საერთაშორისო კრიმინალურმა სასამართლომ ჰააგაში პუტინი ომის დანაშაულებში, მათ შორის ბავშვების უკანონო დეპორტაციაში დაადანაშაულა. უკრაინელთა მკვლელობა, გაუპატიურება, მასობრივი დევნა, მათ შორის მშვიდობიანი მოქალაქეების, სავარაუდოდ, დაემატება იმ ქმედებათა ჩამონათვალს, რომლებიც ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულად შეიძლება იქნეს მიჩნეული. მსოფლიოს ნახევარს არ აინტერესებს ეს ომი და თუ ისეთი ქვეყანა, როგორიც ინდოეთია, გადაწყვეტს, მხარი დაუჭიროს რუსეთს, ეს არ იქონიებს სერიოზულ გავლენას სხვა ქვეყნებთან ინდოეთის საგარეო ურთიერთობებზე. მაგრამ ისეთი პატარა ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა სულ სხვაგვარი გათვლებია. რუსეთის ომი უკრაინის წინააღმდეგ ათწლეულების მანძილზე მოახდენს გავლენას ევროპის ეკონომიკურ და პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე და მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე რუსეთთან. ეს ომი ევროპელების ისტორიულ მეხსიერებაში დარჩება, როგორც უდანაშაულო ადამიანების იმ გენოციდის მსგავსი რამ, რაც 1939-1945 წლებში ვერმახტმა ჩაიდინა. საქართველოს ამბივალენტურმა პოზიციამ რუსეთის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ მან თავად განიცადა რუსეთის შემოჭრა 2008 წელს, უკვე შეარყია მყარი ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორული ურთიერთობები, რომლებიც საქართველომ ცენტრალურ და აღმოსავლეთევროპელ მეზობლებთან - პოლონეთთან, უკრაინასა და ბალტიის ქვეყნებთან დაამყარა. თავისი გადაწყვეტილებით, დაეცვა ბალანსი, რომელიც მცდარად არის რეალისტურ მიდგომად წარმოჩენილი, საქართველოს ხელისუფლება, მიუხედავად უკრაინასთან სოლიდარობის შესახებ განცხადებებისა, ისტორიის „არასწორ მხარეს“ დადგა უკრაინის ომში დემოკრატიის, სუვერენიტეტის და საზღვრების ურღვეობის დაცვისთვის. ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს ევროპასთან საქართველოს ეკონომიკური და დიპლომატიური პარტნიორობის მომავალზე.

პოპულისტური ალიანსი

ბოლო ათწლეულში პოლიტიკურ პარტიებს ევროპასა და სხვა ქვეყნებში პოპულისტი ლიდერები ჩაუდგნენ სათავეში, რომლებმაც ლიბერალიზმის წარუმატებლობით ისარგებლეს, მაგრამ რაიმე მნიშვნელოვან გაუმჯობესებას პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით ვერ მიაღწიეს. საქართველოში პოპულისტური გამოვლინებები პოლიტიკაში დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან შეიმჩნეოდა. ასეთი მოდელის პარტიებმა, რომლებსაც პიროვნებები მართავენ, ისეთი პოლიტიკოსები წარმოშვა, რომლებიც არ თვლიან საჭიროა, რეაგირება მოახდინონ ამომრჩეველთა საჭიროებებსა თუ მოთხოვნებზე. იშვიათია მთელ მსოფლიოში იმის მოლოდინი, რომ რიგითი მოქალაქეები გავლენას მოახდენენ საგარეო პოლიტიკაზე. თუმცა, საქართველოში „გზები იყოფა“; მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა პროევროპული განწყობისაა და ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციას უჭერს მხარს. ერთ-ერთმა ბოლო სოციოლოგიურმა გამოკითხვამ, რომელიც საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა 25 აპრილს ჩაატარა, დიდი მხარდაჭერა აჩვენა ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის მიმართ (ამ იდეას სრულად ან მეტ-ნაკლებად სრულად 89% უჭერს მხარს; ნატო-ს შემთხვევაში კი, ინტეგრაციას სრულად ან მეტ-ნაკლებად სრულად 80% უჭერს მხარს) (Civil.ge 2023). თუმცა, საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს „დაბალანსებული“ პოლიტიკის დაცვას, რომელიც ეწინააღმდეგება ევროკავშირის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის მიზნებს. ამის ბოლოდროინდელი მაგალითია საქართველოს მთავრობის თანხმობა რუსეთიდან სამოქალაქო ფრენების შესრულებაზე. პირველი რუსული თვითმფრინავი თბილისში 2023 წლის 19 მაისს დაეშვა

და პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მტკიცებით, ეს იყო პრაგმატული საგარეო პოლიტიკის ნაწილი, რომლის მიზანიც „ჩვენი ქვეყნის გადარჩენა და დაცვაა“ (Civil.ge 2023b). არის კი ასეთი პოლიტიკა „პრაგმატული“ და ევროპასთან მყარ ალიანსზე უარი და მის სამეზობლოსთან უფრო ღრმა და ერთგული კავშირების არქონა არ მიიყვანს საქართველოს უფრო მეტ მონურ მორჩილებასთან მისი ჩრდილოელი მეზობლის წინაშე? არის კი ეს „შუალედურობის“ პრინციპები, რომლებიც ქვეყანას ევროკავშირისგან აუცხოებს, ის რაც საქართველოს მოქალაქეებს სურთ? მართლა კარგ საქმეს აკეთებს ამ დაბალანსებით საქართველოს მთავრობა, როგორც ეს პროფესორ მაკფარლეინს მიაჩნია? ჩემი პასუხი ამ კითხვებზე იქნებოდა არა. როგორც ერთი ბრძნული ანდაზა ამბობს, შუა გზაზე სიარული ყველაზე ნაღდი მეთოდია, მანქანამ რომ გადაგიაროს.

დასკვნითი მოსაზრება

1920 წლის იანვარში, საქართველოს დამფუძნებელი კრების (საქართველოს საკანონმდებლო ორგანო 1919-1921 წლებში) სხდომაზე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრმა გიორგი გვაზავამ განაცხადა, რომ საქართველოს ისტორიული ურთიერთობა რუსეთთან „არაბუნებრივი“ იყო. ის გულისხმობდა იმპერიულ ურთიერთობებს და, დიდი ალბათობით, პოლიტიკურ და კულტურულ განსხვავებებს რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოებს შორის 1918-1921 წლებში, როდესაც საქართველო პროევროპული და დემოკრატიული იყო, ხოლო საბჭოთა რუსეთი ანტიევროპული და ავტორიტარული. რასაც არ უნდა ვფიქრობდეთ სიტყვა „არაბუნებ-რივის“ საგარეო ურთიერთობების აღსაწერად გამოყენებაზე (და რეალისტები იტყოდნენ, რომ ასეთი ცნება არ არსებობს), ის ეჭვქვეშ აყენებს ვარაუდს, რომ საქართველომ გეოგრაფიულ პარამეტრებში უნდა იმოქმედოს და მიეჩვიოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გეოგრაფიულ და პოლიტიკურ დომინირებას. გვაზავას განცხადება შეგვახსენებს, რომ საქართველოსთვის რუსეთი მხოლოდ ბოლო იმპერიული სახელმწიფოა, რომელიც საქართველოს თავის კოლონიად თვლიდა. სანამ რუსეთი კავკასიაში შემოვიდოდა მე-18 საუკუნის ბოლოს, საქართველოს მმართველები უფრო ახლოს კულტურული და პოლიტიკური თვალსაზრისით ირანის სეფიანთა და თურქ-ოსმალების დასავლეთ აზიის იმპერიებთან იყვნენ (მანამდე კი აღმოსავლეთ რომის/ბიზანტიის იმპერიასთან). საქართველო ყოველთვის ჩრდილოეთის მიმართულებით არ იყურებოდა. სამხრეთიც არ იყო ისტორიულად უფრო კეთილგანწყობილი საქართველოს მიმართ, მაგრამ ეს შეგვახსენებს, განსაკუთრებით სერიოზული გეოპოლიტიკური ცვლილებების პერიოდში, რომ შუალედური გზა არ არის ერთადერთი გზა რუსეთსა და დასავლეთს შორის.

ISBN 978-9941-499-62-3